ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი

ემერიტუსი დავით მეტრეველი

პროფესორი მარინე გორდელაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინო ჩარკვიანი

ასისტენტ - პროფესორი ქეთევან ხითარიშვილი

ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი

ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ფაცაცია

ასისტენტ-პროფესორი კარენ გრიგორიანი

ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი

ენდოკრინოლოგიის მიმართულების (მანამდე კათედრის) ისტორია იწყება 1974 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო დამედიცინო ინსტიტუტში შეიქმნა ენდოკრინოლოგიის კურსი. იგი შედიოდა თერაპიის კათედრის (გამგე-პროფ. კონსტანტინე ვირსალაძე) შემადგენლობაში. შექმნისთანავე მას სათავეში ჩაუდგა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის დოცენტი ივზირა ანდღულაძე.
კურსის შემადგენლობაში იყვნენ მმკ მ. მერაბიშვილი და მმკ მ. კოპლატაძე. შემდეგში მათ დაემატნენ მმკ დ.ვირსალაძე, მმკ დ. კეზელი, მმკ ნ.ჩარკვიანი, მმკ ზ. სეხნიაშვილი (პედიატრიული ენდოკრინოლოგიის განხრით), ექიმი ლ. ჯავაშვილი და მმკ კ. კოპლატაძე.
1980 წლიდან ენდოკრინოლოგიის კურსს ხელმძღვანელობდა ო. გოგიბერიძე.
1985 წელს კურსი გადაკეთდა დამოუკიდებელ კათედრად და კათედრის გამგედ არჩეულ იქნა ო.გოგიბერიძე, რომელიც კურსს და შემდეგ კათედრას ხელმძღვანელობდა 1999 წლამდე.
1998 წელს კათედრაზე მუშაობდნენ: კათედრის გამგე - ოქროპირ გოგიბერიძე, პროფესორი; დოცენტები - დავით ვირსალაძე, დავით კეზელი, მანანა კოპლატაძე; ასისტენტები - ნინო ჩარკვიანი, ლალი ჯავაშვილი.
კათედრასთან ფუნქციობდა 1986 წელს შექმნილი ბავშვთა ენდოკრინოლოგიის კურსი დოცენტ ზურაბ სეხნიაშვილის ხელმძღვანელობით. კურსის ასისტენტები იყვნენ მარინა გორდელაძე და ლამზირა კომშიაშვილი.
1999 წელს კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. დ. ვირსალაძე, რომელიც 2003 წელს კონკურსითაც აირჩიეს ამ თანამდებობაზე.

2000 წლიდან ენდოკრინოლოგიის კათედრაზე იყვნენ დოცენტები მ. კოპლატაძე და ნ. ჩარკვიანი,
2001 წლიდან დოცენტი კ.კოპლატაძე, რომელიც 2004 წლიდან არჩეულ იქნა კათედრის პროფესორად.
2006 წელს განხორციელდა ორი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის - თსსუ -ის და სამედიცინო აკადემიის გაერთიანება და ჩატარდა ძირეული ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურაში. კათედრის ნაცვლად დამკვიდრდა დეპარტამენტების/მიმართულების ინსტიტუტი.
2006 წელს „ენდოკრინოლოგია'' მიმართულების სახით გაერთიანდა შინაგანი მედიცინის დეპარტამენტში, ხოლო 2009 წელს შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტში.
მიმართულების პროფესორის დავით ვირსალაძის მიერ შედგენილია დიპლომამდელი სასწავლო პროგრამები მედიცინისა (ქართული და ინგლისურენოვანი) და ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ფაკულტეტებისთვის. ასოცირებული პროფესორის დავით მეტრეველის მიერ შედგენილია სარეზიდენტო პროგრამები ენდოკრინოლოგიაში (თერაპევტების გადამზადებისა და კურსდამთავრებულთათვის).
დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ძირითადი სამეცნიერო თემატიკაა შაქრიანი დიაბეტის (მოზრდილთა, ბავშვთა და მოზარდთა), მეტაბოლური სინდრომისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების (ბავშვთა და მოზრდილთა) მიმდინარეობისა და მკურნალობის თავისებურებებისა შესწავლა. მათი სამეცნიერო პროდუქცია მოხსენებული და გამოქვეყნებულია მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაზე და ყრილობაზე; საქართველოს ექიმთა I კონგრესი, ენდოკრინოლოგთა I (2004 წ.) და II (2006 წ.) ყრილობა, დსთ - ს ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია (2004 წ). აგრეთვე, საერთაშორისო კონფერენციებზე დასავლეთის წამყვან ქვეყნებში (აშშ, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, ბელგია, თურქეთი, უნგრეთი, იაპონია).
ბავშვთა ენდოკრინოლოგიის განხრით, მუშავდება შაქრიანი დიაბეტისა და ენდემური ჩიყვის პრობლემები.